№ 106 6 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1876 6 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 106

დროება

გამოდის ქვირაოგით, ოთხშაბათოგით და პარასკევოგით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება თფილისში—გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების“ აგენტებთან.

ფასი სამის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ოქტომბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—2 მან. 50 კაპ. მთელი წლის ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

საქართველო

ჟურდოგა სამეგრელოში

როდესაც კაცს ანუ საზოგადოებას ჰსურს რომელიმე ბოროტება სდევნოს და მოსპოს, ჯერ უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებზედაც დამყარებულია თვით ბოროტება, და როდესაც ეს მიზეზები მოისპობიან, მხოლოდ მაშინ შესაძლოა, ის ბოროტებაც მოისპოს, რომელიც აქედამ წარმომდგარა.

სამწუხაროდ, ჩვენში ამ კვალს არ მისდევენ არც საზოგადოება, არცა ადგილობრივი გამგეობა. ერთი მარტო მეხანიკური, ფორმალური აღსრულება კანონისა არ არის საკმაო იმისთვის, რომ მოისპოს გინა შემცირდეს ისეთი ბოროტ-მოქმედება, რომელიცა ტიპიურ მოვლინებათ გამხდარა ხალხში და რომლის მიზეზები ისევ ხელ-შეუხლებელად რჩებიან.

სამეგრელოში რომ ასე სახელგანთქმულია ცხენის და საზოგადოდ პირუტყვის ქურდობა, უეჭველია, ამასაც თავისი მიზეზები უნდა ჰქონდეს. მაშ საჭიროა ჯერ ეს მიზეზები გაიგოთ და შემდეგ ეცადოთ ისეთი ზომების მიღებას, რომელთაც შეეძლოსთ ამ მიზეზების მოსპობა, და ამის შედეგი იქნება ისა, რომ ქურდობაც მოისპობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, თუ სრულებით მოსპობა არა, დიდ ძალზე შემცირდება მაინც ჩვენში ქურდობისა, თორემ სასამართლოს ძიების წესით და ორი და სამი პოლიციის ჩინოვნიკის თვალყურ-დევნისაგან რაც არ მოემატება ქურდობას, არა მოაკლდება-რა.

სამეგრელოს დასავლეთის მხრით სძევს სამურზაყანო და აფხაზეთი; ამ უკანასკნელ მხარეში ცხენის ქურდობა კარგ საქმეარ საქმეთ მიჩნდათ; ქურდობა, მტაცებლობა და სხვა ამ გვარი ქცევა აფხაზისთვის რაინდობას და ყოჩაღობას შეადგენდა.

ერთს დროში აფხაზეთს დიდი გავლენა ჰქონდა სამეგრელოზე. ძველს დროში, ძველ მეგრელს შეხედულობით იმერლისაგან ვერ გაარჩევდით; როგორც იმერელს, ეგრეთვე მეგრელს თავზე ეხურა პატარა ფაფანაკი, ტანთ ეცვა წელ-დაყრილი მოკლე ჩოხა, ფეხთ ეცვა ცხვირ-წაწვეთილი ხარაზის ლაბჩინები, წელზე ერტყა მშვენიერი წელის იარაღი კალდმი, კაზნა და სხვანი, და გულზე ჰქონდა ძეწკვი არშუმი; მაგრამ უკანასკნელ დროებში, ე. ი. ორმოცი წლის წინათ, ისე იმოქმედა სამეგრელოზე აფხაზეთის გავლენამ, რომ მეგრელის გარჩევა გაგიჭირდებოდათ აფხაზისაგან: გრძელი, კოჭებამდინ ჩოხა, ფაფანაკის ნაცვლად თავზე ყაბალახი, ხარაზის ლაბჩინების ნაცვლად ფეხებზე ჩუსტები (წულა-მესტი) და ძეწკვი არშუმის მაგიერ გულზე შაჰვაბაზის თეთრი მასრები,—ცხადათ დაგიმტკიცებენ აფხაზეთის გავლენას მეგრელებზე.

ამ გავლენას ცუდი შედეგი ჰქონდა სამეგრელოს ხალხის ხასიათზედ. როგორც აფხაზეთში, ეგრეთვე სამეგრელოშიაც გახშირდა ცხენის ქურდობა. ამ დროს სამეგრელოს თავისი საკუთარი მთავარი—დადიანი ჰყვანდა, რომელიც მთელს სამეგრელოს ხალხს და მისს საქმეებს თავის უფლებით და საკუთარის კანონით განაგებდა. მთავარმა—დადიანმა ნაცვლად მისა, რომ ზნეობითად სდევნოს ქურდობა, თავისი პირადი ანგარიშები და თვისი ხაზინის გამამდიდრებელი მხარეები დაინახა ამ ხელობაში: კანონად დასდვა, რომ ვინც ერთს ცხენს მოიპარავდა და თავზე დააწყდებოდა, ცხენის პატრონისთვის უნდა ეზღო თავნი და ტოლი, ესე იგი ორი ცხენი, მთავრისთვის ჯარიმად ხუთი ცხენი და ბოქაულებისათვის ორი ცხენი.

ამ სახით ერთი ცხენის მაგივრად ქურდს უნდა გარდაეხადა ცხრა ცხენი. საიდამ იშოვიდა ერთი ცხენის ქურდი ცხრა ცხენს, ისევ თუ არ მოიპარავდა? ზნეობითად ქურდობას დადიანის მმართებლობა სრულიად არ სდევნიდა, ის ამ საქმეს უყურებდა, როგორც კანონიერს წყაროს სამთავრო შემოსავლისას.

ამისთანა მდგომარეობაში იყო სამეგრელო და მისი შეხედულობა ქურდობაზე, როდესაც თითქმის მთელი სამეგრელოს ხალხი გლეხის უტყვია მოდუას თაოსნობით აჯანყდა წინაალმდეგ დადიანის მმართებლობისა, როცა დადიანის სახლეულობა რუსეთში გარდიყვანეს და სამეგრელოში დაწესდა რუსეთის მმართებლობა (1857 წ.)

ახალმა ადგილობრივმა გამგეობამ ბევრი სხვა და სხვა ზომები მიიღო ქურდობის მოსასპობელად *). მაგრამ რა რომ ახალი სასამართლოს რეფორმა შემოვიდა, ის წესები და ზომები, რომელნიცა ერთობ გამოსადეგნი იყვნენ ქურდობის მოსასპობლად, წინაალმდეგნი შეიქმნენ ახალი სასამართლოს კანონებისა და მის გამო შესაძლო არ დარჩა, რომ ისინი ეხლა ხმარებულ ჰყოფილიყვნენ საქმეში. ამ შემთხვევით მეგრელებმა ისარგებლეს; როგორც ნიჭიერებმა და გამჭრიახებმა ისეთი ხრიკები და ოინები გამოსძებნეს წინაალმდეგ სასამართლოს კანონებისა, რომელნიცა ძალიან მალე გაიგეს, რომ ქურდობას ვერას გზით ვერ დაუმტკიცებთ. მაგალითებრ: შეადგინეს წრეები, იმათაგან ერთი ქურდობს და მეორე ემოწმება სიმართლისათვის; ზოგიერთნი მაღალ-წოდების პირნი, ე. ი. თავად-აზნაურნი ეკომაგებიან ქურდობაში გლეხებს, უკანასკნელნი ქურდობენ, ხოლო პირველნი პატრონობენ და ფარამენ, ანუ აპარვინებენ პატარა ბავშვებს და დიდები სარგებლობენ; ეს პატარეები კიდეც რომ დაიჭირონ ქურდობაზე, დასჯა შედარებით ცოტა აქვსთ, როგორც მცირე-წლოვანთ.

ამას გარდა სამეგრელოში ქურდობას აძლიერებს ისიც, რომ აქ პირუტყვის მწყემსვა არ იციან. მთელი ზაფხული და ზოგან, ტყიან ადგილებში, ზამთარშიაც პირუტყვი თითქო უპატრონოსავით დაეხეტება უმწყემსოთ. ამ გარემოებაზე საზოგადოებას არა აქვს მიქცეული ყურადღება მაშინ, როდესაც ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქურდობის გახშირებაში.

ეს ზემო-მოყვანილნი გარემოებანი მგონი გვიმტკიცებენ, რომ, გარდა იმ საზოგადო მიზეზებისა, როგორც მაგალითებრ გაუნათლებლობა, სიღარიბე და სხვანი, რომლებთაგან უმეტეს შემთხვევაში წარმოსდგებიან დანაშაულობანი, სამეგრელოში სხვა საკმაო მიზეზებიც არიან, რომელნიც თანახლავს ამ საზიზღარ ჩვეულებას—ქურდობას; კიდეც ამისათვის არის სამეგრელოში ასე არტისტიკულად რომ სრულდება ქურდობა.

ამ ბოროტების მოსპობას სასამართლო და პოლიცია ვერ მოახერხებს, აქ საჭიროა თვით სამეგრელოს საზოგადოების დახმარება.

მაგრამ ამ საზოგადოების დახმარებაზე და სხვა ზომებზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ქინი-კინი

*) ამ ზომებთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო მოკლე წესდება შესახებ ქურდობის მოსპობისა სამეგრელოში, შედგენილი მაშინდელ სენაკის მაზრის უფროსისაგან თ. დ. წულუკიძის მიერ.

დღიური

ამ ორშაბათს, 4 ოქტომბერს, თითქმის ოთხი თვის შეჩერების შემდეგ, იყო პირველი სხდომა ჩვენი ქალაქის რჩევისა.

სხვა და სხვა წვრილმალ საგნებს შორის, რომელზედაც მოლაპარაკება ამ დღის სიაში იყო მოხსენებული, კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორს კითხვას: ბოქჩის ტბის გელაქნურზედ ფასის დადებასა და ამშენებელ განყოფილების (სტროიტელნოე ოტდელენიის) შედგენილობაზედ. პირველი საგნის თაობაზე გრძელის მოხსენებისაგან შევიტყეთ, რომ ქალაქის ბამგეობასა და სახელმწიფო ქონების ბამგეობას შუა უთანხმოება მომხდარა იმაზე: აქვს ქალაქს უფლება გელაქნურზე ტაქსა დანიშნოს, თუ არაო. სახელმწიფო ქონების ბამგეობა ამტკიცებს, რომ არა აქვსო, რადგან ამით ხაზინას ზიანი ეძლეოო. ქალაქის ბამგეობა კი ამბობს: კანონით, ყველა საგანზე შეგვიძლიან ტაქსა დანიშნოთ, რაც კი ქალაქის მცხოვრებლებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო და ამიტომ ჩვენ კანონიერად მოვიქეცითო, რომ თითო გელაქნურზე ორი შაური ფასი დავადეეთო. რჩევამ გადაწყვიტა, რომ ამ საგნის თაობაზე უმაღლეს მთავრობასთან საჩივარი შეიტანონ.

ამშენებელ განყოფილების შედგენილობაზე კრებამ მიიღო ამ განყოფილების წევრის უფ. პ. ალხაზოვის შედგენილი შტატი, რომლიდამ ქალაქის ინჟენერისა, მიწის მზომელისა, ტეხნიკისა და სხვა მოსამსახურე პირებისათვის დანიშნულია 13,300 მან. (ადრე 9,322 მან. ყოფილა).

მოსალოდნელი იყო, რომ ამდენ ხანს მოსვენებული ხმოვანნი ახლა მაინც სრულად შეიკრიბებოდნენ და გულს-მოდგინეთ შეუდგებოდნენ ქალაქის საქმეების განხილვასა და გაკეთებას; მაგრამ ჩვენი მოლოდინი, საუბედურო, არ გამართლდა: ამ პირველს კრებაზე 72 ხმოვანში მხოლოთ 27 კაცი დაესწრო და სანამ ყველა დანიშნულ საგნებზე მოილაპარაკებდნენ, ათიოდე კიდეე გაიპარა ასე, რომ მეთერთმეტე საათზე 17—18 ხმოვანი დარჩა, რაიცა არ შეადგენდა კანონიერ კრებას.

ძლიერ მოგვეწონა ჩვენ ის ენერგიული სიტყვები, რომელიც, ამ შემთხვევის გამო, წარმოსთქვა ჩვენმა ქალაქის თავმა უფ. დ. ი. ციფიანმა, როცა უთხრეს, რომ საკმაო რიცხვი ხმოვანთა კრებაში აღარ არისო:

„ძალა-უნებურად უნდა შეესწყვი-

ტო კრება, რადგან ხმოვანების რიცხვი საკმაო არ არის კანონიერად რომლისამე კითხვის გადაწყვეტისათვის. მაგრამ ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ ის ხმოვანნი, რომელნიც ასე გულ-ავარდნილად იქცეევიან, რომელნიც შემოდიან და გადიან კრებიდამ, გვიმტკიცებენ, რომ იმათ არა აქვთ პატივისცემა არც ამ ადგილისა და არც იმ თანამდებობისა, რომელიც იმათ უკისრნიათ.“

ერთი რამ გვაკვირვებს ჩვენ ამ გარემოებაში:

ხმოვანების კენჭის-ყრის დროს, ეს ხალხი დაფაცურობს, ყოველ ღონისძიებას ხმარობს და ცდილობს, რომ ხმოვანად აირჩიონ და აირჩევენ თუ არა, მოარჩა, გათავდა, თვეში ერთხელაც არ მოდის კრებაში, აეწყდება —რისთვის არის ამორჩეული, რა მოვალეობა აწევს, რა ზნეობითი ვალდებულება თავის ამორჩეველთა და მთელი ქალაქის წინაშე. ნუ თუ ესენი მარტო სახელისათვის, მარტო იმისთვის, რომ „ხმოვანი“ ვიყოთო, იმტერეევდნენ თავ-პირს და ცდილობდნენ მომეტებული თეთრი კენჭის მიღებასა და ქალაქის რჩევის წევრობასა?...

ახლად გამართული ზალა ქალაქის რჩევისა ჩინებულად არის მოწყობილი: ახალი სტოლები დაუდგამთ; ორი ხმოვანისთვის ერთი სტოლია, თითოეულს თავისთვის საწერ-კალამი აქვს წინ და ქაღალდი. გაზეთების წარმომადგენლებისათვის ცალკე სტოლი და სხვ.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ, უფ. ბ. ლოლაბერიძის ადგილზე, თფილისის სახალხო შკოლების დირექტორად დაუნიშნავთ უფ. სტრელეცკი და ამის მაგივრად, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების შკოლების ინსპექტორად, უფ. ლიხაჩოვი ინიშნებაო...

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ „ქართული ანდაზების“ გამომცემელნი ამ მოკლე ხანში შექსპირის დრამის „მეფე ლირის“ ბეჭდვას შეუდგებიანო. როგორც მოგეხსენებათ, ეს დრამა ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან არის ნათარგმნი; იმის პირველი მოქმედება „ქრებულში“ იყო დაბეჭდილი.

* * *

ერთი ჩულურეთის უბნელისაგან მიველეთ ჩვენ ეს შენიშვნა:

„საკვირველია, უფ. რედაქტორო, ამ ჩვენი ჩულურეთის ქუჩების საქმე! ძვეყანა ქვეყნად იქცა და ამას კი არა ეშველა-რა. აქამომდის ქურაანები აჭირვებდა საქმეს, მათი სუნი და საძაგელი აყროლებული ბოლი. მაღლობა ღმერთს, ისინი მოისპნენ, და ახლა უფარნობა და უგზო-უკელობა. რამდენჯერმე ვითხოვეთ ჩვენ, ამ უბნელებმა, რომ ქუჩები გაეხსნათ და გვლირსებოდა გაჭირების დროს, ან ავთმყოფი გვყოლოდა, რომ ფაეტონით ექიმი მოგვეყვანა კარებ წინ, ან შეშა გვეყიდნა ურმით და კარებ წინ დაგვეცალა, ანუ თუ სხვა რამე; უნდა ქვევით ნიკოლაევის ქუჩაზე დავყაროთ და ისე მხრით ვზიდოთ სახლის კარებამდის.

„ქვირაცხოველის უბანში ხან-და-ხან თუ ცოტა ღონიერი წვიმებიც მოდის ხოლმე, ასტყდება საშინელი ნიაღვრები და მოდი, შენ ეხლა ღამით ბნელაში გაიარე ბრაცა-ბრუცით და მიაღწიე შენს სახლს.

„უგზო-უკელობისა და უფარნობის გამო ავაზაკებიც გაჩნდნენ: ამ ორი სამი კვირის განმავლობაში ორი სახლი გატეხეს და ერთი ყმაწვილი კაცი გაცარცვეს ქურდებმა და ავაზაკებმა. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის; სულ ერთი უგზობას და უფარნობას უნდა მივაწეროთ. მგონი, რომ მანამ ქუჩები დაჭრებოდეს, ფარნები მაინც დაურჭონ გზებზე, რომ გვეღირსოს ღამით განათებულზედ ავიაროთ მეტადრე ჭრ. ტერ-მიკირტიჩიანცის დიდ შენობის უკან, სადაც ღამით ისე ბნელა, რომ თავს ცხვირს ვერ მიაგნებს კაცი.“

დ. ლ.

* * *

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული ბრძანება, რომლის ძალით კავკასიის აქეთა და იქითა მხრის მცხოვრებთ, რომელთაც აქვთ 1858 წლის 5 ივლისამდინ მიღებული სამხედრო ნიშნის ორდენი (წმ. ბიორგის სალდათის ჯვარი), ამ რიცხვადამ მოყოლებული მიეცემათ წელიწადში 8 მანეთი პენსია.

* * *

ბაუგიათ თუ არა სურამელ ქალებს თავიანთ ქმრებისაგან, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულის სლავიანები დიდს გაჭირებაში და შეწუხებაში არიან ოსმალებისგანაო, იმ წამსვე შეკრებილან და გადაუწყვეტიათ: ყოველ საღამოს (თუ შეიძლება, 12 საათამდინ) ითამაშონ ქალალდი და ვინც რას მოიგებს, იმათ საჩარგებლოდ გადადონ...

* * *

სურამელებმაც გვატყობინებენ, რომ იქ და ხაშურში ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირებულა ქურდობა და ავაზაკობა. სხვათა შორის, ამ თვის 2-ს ერთს იმერელ მედუქნეს ორი თათარი დასხმია გასაცარცავად და როდესაც იმერელს თავის თავისა და თავის ოფლით მონაგების დაცვა გაუბრახავს, ერთს თათარს ამოუღია ხანჯალი და მუცელში უკრავს. ავაზაკები მეორე დილას დაუჭერიათ, იმერელი კი უკანასკნელს მგომარეობაში არისო.

* * *

იმერეთიდამ გვწერენ, რომ ოლპირის მახლობლად, ცხრა ვერსზედ, სოფ. ბოგაშიდ აღმოჩენილა მკურნალი აბანო, რომელიც ჯერ თუმცა ექიმებს არ გამოუკვლევიათ, მაგრამ გლეხობა დარწმუნებული არისო, რომ რაც უნდა მამაკვდავი ავთმყოფი იყოს, თუ კი ამ აბანოში იბანა, არ შეიძლება არ მორჩესო. ამბობენ, განსაკუთრებით წელის და თავის ტკივილსა და ციებას უხდებაო. დღე არ გავა ისეო, რომ უკანასკნელი ასი კაცი და ქალი არ იყვნენ ამ აბანოზედო ასე, რომ იმის პატრონს ორის თვის ვადით ვილაცასთვის თხუთმეტ თუმნად გაუცია იჯარად.

* * *

ერთს აქაურ სომხურ გაზეთში იწერებიან, რომ მოსკოვის პეტროვის სამეურნეო აკადემიაში შარშან ხუთი კავკასიელი იყოვო და წრეულს კი მხოლოდ სამი სწავლობსო, ორი თათარი და ერთიც ოსიო.

„დროების“ კორესპონდენცია

ბორი, 28 სექტემბერს. საზოგადოთ წელს ცუდი ზაფხული იდგა ჩვენს ბორის მაზრაში. ჯერ მაისშივე უჩვეულებრივო სიცხეები დაიწყო, შემდეგ უეცრივ აცივდა, მერმედ აცხელდა, და ამგვარად სასტიკი სიცხეები სასტიკსავე სიცივეებში გადადიოდა.

ამ გვარმა არეულმა ტაროსმა ბევრი ენება მოუტანა როგორათაც მიწის ყოველ გვარ ნაყოფიერებას, აგრეთვე კაცის ჯან-მრთელობასაც. არა წელიწადში ვერ ნახავდით ასე მეტის-მეტად გახშირებულ ავთმყოფობას როგორც წელს, ასე რო თითქმის ვერა სოფელს ვერ ნახავთ, რომ ყოველ ოჯახში თუ სამ-სამი არა, ორი ავთმყოფი მაინც არ იწვეს შეჭირვებული: ზოგი ცხელებით, ზოგი მუცელ-კეთილით, ციებით და სხვა უფრო მაზარებელ ავთმყოფობით.

რაც შეეხება თვითონ ბორს, ხო რაღა თქმა უნდა, თითქმის ყოველის სახეზე წაიკითხამთ, რომ არც ის გადარჩენია წრეევანდელ სენიან ზაფხულს. მაგრამ გორელებს რა უშავთ! ხუთი-ექვსი ექიმი ჰყავთ, და ამათში, უეჭველია, ორიოდ მაინც არი თავის საქმის მცოდნე იქნება! ამასთანავე კარგი ბლომი აფთეკი, ფერშლები და ყოველიევე სახსარი რაიც დასჭირდებათ.

სოფლელებისთვის კი საფიქრებელიც არ არის ამ საშუალებების მიწდომა, და არამთუ გლეხები, ბევრნი თავად აზნაურნიც მოკლებულნი არიან ზემოხსენებულ საშუალებებს. ვინ მისცა გლეხს ნაღდი თუმნები, რომ ექიმების ფეხის ქირაში, ფაეტონებში და წამლებში აძლიოს, და არამ თუ ექიმის ან ფერშლის სოფელში მიწვევა შესძლოს? ზოგს ერთი აბაზიც არა აქვს, რომ ჩაი-შაქარი მაინც უყიდოს თავის შელონებულ ავთმყოფს. აბა ახლა მიბძანეთ, ამ გარემოებაში ჩავარდნილმა გაბოროტებულმა ავთმყოფის პატრონმა, რა ღონის-ძიებას მიმართოს?

აი ამ დროს ის ღვთის ანაბრობაზედ სტოებს, ვიდრე ბევრი ტანჯვის შემდეგ თვითონ ავთმყოფის აგებულება და ბუნება არ დასძალავს ან არა დაეძალვინება სატკივარს. ან არა და ჩვეულებრივ საშუალებას — მკითხაობას მიმართვენ, რომლისთვისაც ჯერ შინვე ფილთებს გრეხენ, ყველა წმინდანის სახელობაზე კვერებს ჭყრიან ცეცხლში და რომელიც იმათში გასქდება, მიზეზათ იმ წმინდანს გახდიან, და მაშინათვე საწირევებს თავშემოავლებენ, შეუთქვამენ და სხვა, და თუ მახლობლად მკითხავი ეგულებათ, წაულებენ ამ-ბავსა და უფრო ნამდვილს იმას ათქმევინებენ. ამ გვარს საშუალებას ზოგჯერ ის შემწეობა მოაქვს, რო ავათმყოფი იმ ხსენებულ წმინდანს ირდგენს სახეში, გულ-წრფელათ მიანდობს თავის ბედს, და მისგან სრული მოიმედე სასოწარკვეთილობიდგან გამოდის და უმაგრდება სატკივარს. აქედგან ბოლოს ის აზრი იბადება, რომ ავთმყოფი მართლა წმინდანებისგან იყო შეპყრობილიო. ეს ბუნების კანონია, რომ ჭირში რამდენათაც გულმაგარია კაცი, იმდენათ ადვილათ დასძალავს თავის შეჭირვებას. ან კიდევ მიმართვენ სოფლურს ექიმობას, რომელსაც გარდა ხირურგიულ შემთხვევებში ყველაში ზარალი მოაქვს.

სხვათა შორის, აი სამოდე მაგალითი, რომელიც ამ ახლო ხანებში მოხდა: ერთს ავათმყოფს სიცხის გამოსაკაფათ კიტრანა (ბალახია) ასვეს; პირიდგან და ტანიდგან სისხლი წასქდა და საღამომდე მსხვერპლათ შეიქნა ამ გვარ უგუნურებისა. სოფ ძევერაში ერთი მუხლებ ტკივილიანი ქალი გაცხელებულ ხვედურეთის წყალში ჩასვეს, ზევიდგან, იმ აზრით, რომ ოფლი კარგა ადინოსო, ისე ნაირად დაჩულეს რომ ქალს მაშინათვე სული შეუგუბდა, საცოდავმა რამდენი არ იყვირა: პირი მაინც მიჩინეთ, თორე ვირჩობილ, მაგრამ ყველანი ურჩევდენ: გაძელ, გაძელიო; მერე მართლაც რო გასძლო: არამთუ ხმის ამოღება ჩუჩუნიც არა ქნა, მაშინ ოფლიქრე, ჰო ახლაკი იამაო, მაგრამ რო შენძრეულიც ველარ ნახეს, ახადეს და საბრალო ქალი კბილებ დაკრეჭილი კი დახვედათ. სოფ. ბარალეთში, ამ გვარათვე ერთ მუნიან ბავშვს ნავთი წაუსვეს და ოფლის სადენათ ცხელ ფეჩში შესვეს და კარებიც დაუხშეს; საწყალმა რამოდენა არ ილრიალა, მაგრამ ვინ იყო შემწე, ბოლოს რო გაჩუმდა გაალეს კარები და შელანძული მკვდარი გამოიღეს. ამ გვარად მგონი სერბიელებსაც არ სტანჯვენ, არამ თუ კაცმა თავის უგუნურებით თავისავე მეზობელს ეს დღე მიაყენოს.

ახლა ისიც ვსფქვათ — თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია რა საშუალებებს აძლევს: თუ როდესმე რომელსამე სოფელში ავთმყოფობამ საზოგადო ხასიათი მიიღო და ბევრი დახოცა, მაშინ იგზავნება მაზრის ექიმი, როგორათაც შემწეობის აღმოსაჩენათ, აგრეთვე სატკივრის გამოსაკვლევლათაც. მაგრამ შემწეობა არა სჩანს რა გარდა იმისა, რომ იძიებს: რამდენი გახდა ავათ, რამდენი მოკვდა და რამდენი დარჩა, და თავის უწყებაში იხსენებს, რომ „для прекращенія болѣзни приняты надлежащія мѣры“ და საქმე ამით თავდება.

ან კი რა ქნას ექიმმა? თავის ჯიბიდგან ხომ არ უყიდის წამლებს და მხოლოდ გიგიენურ დარიგებას აძლევს.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ამ გვარ საშუალებასაც არავითარი სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობის მოტანა არ შეუძლიან ჩვენი ხალხისთვის. მაშასადამე ჩვენი სოფლის ხალხი ჯერ-ჯერობით უნდა ისევე ღვთის ანაბრობაზედ დავსტოოთ, ვიდრე ის დღე არ ეღირსებათ, რომ სხვა ქვეყნების დაგვარად ყველა საზოგადოებაში თავის ფერშალი და აფთეკი არ ექმნებათ, რომელნიც მაზრის ექიმისავე განკარგულებაში უნდა იმყოფებოდეს. ამისთვის უნდა ვისურვოთ, რომ ჩვენმა თბილისის საავათმყოფომ რაც შეიძლება დროზედ მოგვაშველოს იქაურ შკოლაში აღზრდილი ფერშლები, რომ ამ გვარ შეჭირვებიდგან განთავისუფლდეს ხალხი. სხვათა შორის, წელს, ყველაზე უკეთესად ცხინვალის საზოგადოებამ დაგვიმტკიცა ამ გვარი მოთხოვნილება: გაცხარებულნი ეძებდენ და სურდათ ფერშლის დაქირავება, რადგანაც არა ოჯახი არ გადარჩენია აქ ავათმყოფობას; მაგრამ ყოველივე ცდილობა ამაოდ დარჩათ.

ილ. ალხაზაშვილი

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მე წავიკითხე გაზეთს „კავკაზში“ (№ 110) უფ. მეფიმოვსკის სტატია შესახებ „დროებისა“ და მისი კორრესპონდენტებისა. ძლიერ მაკვირვებს მისი შემდეგი სიტყვები: „უკანასკნელს მაისის რიცხვამდისინ შორაპნის უეზდში ქურდობა და სხვა ამისთანა ბოროტებები არ ყოფილა; მაგრამ შემდეგისთვის კი არ შემეძლო მეწინასწარმეტყველებინა, რომ არაფერი არ მოხდებოდა.“ „სოფლის შკოლების მასწავლებლები პრიჩეტნიკები და დიაკვნები სწერენ კორრესპონდენციებსა და რასაც სწერენ, სულ ტყუილსა.... მღვდლები არ ქადაგობენ ეკკლესიებზე და ხალხი თან-და-თან ეცემა ზნეობით და ტყუილი ფიცი გახშირდა და სხვა ცუდ-კაცობა... მრავალნი სწერენ, ქურდობა და მტაცებლობა მოხდაო, მაგრამ ამას ტყუილად თუ ამბობენ, თორემ აბა თუ ერთ შემთხვევას უჩვენებენ. ხალხი ქურდებს ფარავს და მთავრობას არ უცხადებს მათ მოქმედებასო“ და სხვა ამისთანა სიტყვები....

ძლიერ გაკვირვებული ვარ უ. მეფიმოვსკის ამისთანა სიტყვებით. მე არ მეგონა, რომ ასე უსაფუძვლო სიტყვებს გამოისროდა.—არ ვიტყვი, რომ წინანდელი უეზდის ნაჩალნიკების ხელში ქურდობა არ იყო-მეთქი, მაგრამ იმდენი, რამდენიც უ. მეფიმოვსკის ხელშია, უნდა გითხრათ მართალი, სწორეთ არასოდეს არ ყოფილა. ნუ თუ ამ უკანასკნელი წლების ბოროტება, ქურდობა და მტაცებლობა სულ აღარ ახსოვს უ. მეფიმოვსკის? მაშ გავახსენებთ ეხლა:

ვინ მოკლა ივანოვი რუსი ულირილაში? ანუ ვის აბრალებდით თქვენ მის მოკვლას?

ვინ მოკლა ბოდაბრელიძე, და შეიტყვეთ მისი მკვლელები თუ არა?

ვინ მოკლა ერთი რაჭველი კაცი სოფელს პერევისაში?

ლირში, წევაში, ილემში და თერუოლაში მოკლულ კაცებს თავი დავანებოთ, აბდუშელიშვილის სიკვდილსაც თავი დავანებოთ და აი დღეს, რომ ფერაძე მოკლეს, იმასაც თავი დავანებოთ; მაგრამ რომელ დაჯილდოებულ იასაულს გაუპეს თავი ს. შროშაში მიხდომის დროს? ვინ გაცარცვა ა. საყვარელიძე? ვინ მიუხდა შულიძეს და ვინ დასჭრა? ვინ გაქურდა ნიორაძე? ვინ გასტეხა დუქნები დ. ულირილაში? თქვენ სახლთან მდგომ მარუაშვილს ვინ გადუჩეხა თავი და ვინ მოსჭრა ხელი? ვინ დაცარცვა და დაამტვრია ეკკლესიები?

მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოგითვალოთ? ბანა კვირა გავა ისე, რომ ქურდობა და ავაზაკობა არ მოხდეს ანუ დღე? რამდენი ქალალდები არის შემოსული ცხენის დაკარგვაზე?

რომ მართლა ჩვენი ამხანაგები ყველა სწერდეს და აგზავნიდეს გაზეთში დასაბეჭდავად რაც რამ ხდება შორაპნის უეზდში, მაშინ გაიგებთ, მაგრამ ვინ არის ამწერი? თუ რამე დასწერა კაცმა და გამოაცხადა, ვაი მისი ბრალი მაშინ! რას არ გამოუგონებენ!

რისი გაშინიანთ აგრე მწარეთ? რათ სწუხდებით აგრე, როდესაც ერთი ოტისოდენა რამე იბეჭდება? ტყუილია? თქვენ გაამტყუნებთ და სხვა არაფერი არა გამოვა-რა. მაგრამ არა; როგორ გაბედა ჩემზე დაწერა, როგორ შემეხო მე ვილაცა პრიჩეტნიკი და სოფლის შკოლის მასწავლებელი?

თქვენ ჩვენ გვიწოდებთ სწავლადაუსრულებელს, მაგრამ თქვენ დასრულეთ ხომ სწავლა? ბევსწავლეთ, თუ ღმერთი გწამთ, ის თქვენი სასწავლებელი, სადაც სწავლას სულ ასრულებენ! ტოპოგრაფების შკოლაში მართლა ამბობენ, რომ სწავლას ისე ასრულებენ, რომ აღარაფერი რჩებათ გაუგებელიო!...

მღვდლები ნურაფერს დასწერენო, პრიჩეტნიკები, დიაკვნები და სასოფლო შკოლების მასწავლებლებიო, და გლეხები კი მაინც ველარაფერს დაგიწერენ!... დაგიჯინიათ თურმე, ვითომც „დროებაში“ ყოფილიყოს დაბეჭდილი, ზემო-იმერეთში ხუთი ვაჟი და ხუთი ქალი დაეხრჩოთო. ეს გინახავს „მოსკოვის უწყებაებში“, მაგრამ ეს „მოსკოვის უწყებაების“ ფანტაზიის საქმე არის, თორემ მე „დროებაში“ ამისთანა არა წამიკითხავს რა. „მე რომ სიმართლე აღვადგინო და „დროების“ კორრესპონდენცია გავამტყუნე, „დროების“ რედაკტორს მადლობა უნდა ეთქვაო.“ შენ და ქატკოვმა რომ თქვენივე გამოგონებული შემთხვევაები გაამტყუნოთ, „დროების“ რედაქცია რაში დაგიმადლებსთ?

ჩვენი ქვეყნის გარეშე ძლიერ ქადაგობენ მღვდლები? მისთვის აქ ქურდობა, კაცის - კვლა და ამაოდ - მორწმუნება ხომ აღარ არის? მღვდლები ნასწავლები არ არიანო. რატომ მღვდლათ არ წაბრძანდით თქვენ? რა შემოსავალი აქვთ ჩვენებურ მღვდლებს? რომელი ნასწავლი კაცი წავა დღეს მღვდლად წელიწადში ორ-სამ თუმანზე! მღვდლების ქადაგებით თუ შეიძლება და მოისპობა ქურდობა და ცუდ-კაცობა მაშ რიღასთვის არის დაწესებული პოლიცია?

თუ იცის ხალხმა ქურდები და ვერ ამხელს იმიტომ კი არა, რომ თანაუგრძნობს, იმიტომ რომ შემდეგ თქვენ ველარ დაიცავთ მას იმ ავაზაკი კაცისაგან.

არა, მასწავლებლების ხელის წამოკვრა ისე ადვილი არ გახლავსთ, როგორც შორაპნის აზნაურებს წამოკარით ხელი და ვისაც პროტოკოლი არ აქვს გამოტანილი დეპუტატის საბრანიიდამ მათი კამერალიაში ჩაწერა ითხოვეთ!....

მაგრამ რაღა უნდა ვსთქვა სხვა სოფლებში მომხდარ საქმეებზე, თუ კანცელარიაში მაგდენი ფულები დაიკარგა და ის ვერ შეიტყვეთ.

ერთი სოფლის მასწავლებელთაგანი

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. ოსმალოს სახელმწიფო რჩევამ, რომელიც 120 უწარჩილებულეს პირთაგან იყო შემდგარი, შემდეგი პირობები გადაწყვიტა მოარიგების თაობაზე: დროებით მორიგება მომავალი წლის 15 მარტამდინ; უმთავრეს სახელმწიფოებმა უნდა დაუშალონ სერბიას, რომ არ დაიჭიროს ის სამხედრო ადგილები, რომელიც ახლა ოსმალოს ჯარს უჭირავს; სერბიაში არ უნდა შემოიტანონ სხვა ქვეყნებიდამ თოფ-იარაღი, ზარბაზნები ან სხვა რამ სამხედრო იარაღი; არც ჩერნოგორიაში და არც სერბიაში, მორიგების დროს, უცხო ქვეყნელი ვოლონტერები (განსაკუთრებით რუსები) არ უნდა შეეიდნენ; სერბიასა და ჩერნოგორიას აღკრძალული უნდა ექნეს, რომ სხვა აჯანყებულს სლავიანებს დაეხმარონ (ბერცოგოვინას, ბოლგარიას და სხვ.)

ამ პირობებზე, როგორც წინათაც იყო მოხსენებული, სერბია არ დათანხმებულა, არ დათანხმებულან აგრეთვე არც ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები, რომელთ წარმომადგენელნი ცდილობენ ახლა, რომ უფრო მსუბუქი პირობები დაადებინონ ოსმალოს მმართველობასა.

სერბიის მინისტრების რჩევას 2 ოქტომბერს გადაუწყვეტია, რომ ის თანახმაა შემდეგ მორიგების პირობებზე: სერბია იმავე მდგომარეობაში დარჩეს, როგორათაც ომიანობის დაწყებამდინ იყო და დროებით მორიგება მხოლოთ სამის თვის განმავალობაში იყვეს.

— პარიჟიდამ იწერებიან, რომ აქაური ბირჟა ძალიან აღელვებული არისო, რადგან ხმა გავრცელდაო, რომ რუსეთი არ არის თანახმა იმ მორიგების პირობებზე, რომელიც ოსმალომ წარადგინაო და თხოულობსო, რომ მხოლოთ ექვსი კვირის განმავალობაში შეჩერდეს ბრძოლაო.

— პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ აქ დიდი მზადება არისო, სალდათებისთვის ტანსაცმელისა და სამხედრო სურსათს ამზადებენო, ცხენებს ჰყიდულობენ ჯარისთვისა და საზოგადოთ მთელი სამხედრო სამინისტრო დიდს მზადებაში არისო.

თითქმის მომეტებული ნაწილი რუსული დიდი გაზეთებისა პირ-და-პირ ომს თხოულობენ ოსმალეთთან; ჩვენი „უცროსი ძმები“ გაჭირებაში არიანო, ვალდებულნი ვართ დავეხმაროთო, იმათი საქმე საკუთრივ ჩვენი საქმე არისო და სხვ. ბანსაკუთრებით ცხარეთ სწერენ, ომიანობის დაწყებისათვის „მოსკოვის უწყებანი“ და „ახალი დროება.“ პირველი ამ გაზეთთაგანი თავის უკანასკნელ ნომერში, სხვათა შორის, ამბობს, რომ „მართალია, ომიანობა ხალხისთვის საზიანო რამ არის და უბედურება, მაგრამ იმგვარი მშვიდობიანობა, რომელსაც ევროპა და ოსმალეთი გვპირდება, ომიანობაზე უარესი უბედურება და ბოროტებაა!“

ნარევი

მთაწმინდაზე ამას წინათ ერთი ახირებული შემთხვევა მოხდა: ვილაც ორი კაცი ასულა მონასტერში და დიაკვანთან ბაასი დაუწყვიათ ქვეყნიერების გარემოების თაობაზე; ამ კაცებს, სხვათა შორის, ექვი შემოუტანიათ ზოგიერთ ისეთს საგნებზე, რომელიც დიაკვანს უეჭვო საგნებად მიაჩნდა; მაგალითად უთქვამთ, რომ დედა-მიწა მზეს უტრიალებს გარს და არა მზე დედა-მიწასო, ქუხილი ილია წინასწარმეტყველისაგან როდი წარმოსდგებაო, არც გვალვა ღვთის რისხვას მოასწავებსო და სხვა ამგვარები.

დიაკვანს ბევრი უმაასნია, უცდია, რომ დაარწმუნებინა ესენი თავიანთ შეცდომილებასა და შეცოდებაში, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა: ესენი მაინც თავისას ამბობდნენო.

ბოლოს მოთმინებიდამ გამოსულმა დიაკვანმა გაიქნია ხელი და ერთს მობაასეთაგანს კარგი ლაზათიანი სილა აკრა.

მობაასე ციბრუტივით დატრიალდა თურმე და მთიდამ დაეშვა:

— ახლა ხომ გგერა, რომ მზე დატრიალობსო! მიაძახა თურმე დიაკვანმა და დამშვიდებულის გულით დაბრუნდა შინ.

* * *

ამაზე კიდევ უფრო ახირებულ ამბავს იმერეთიდამ გვწერენ:

სუჯუნის საზოგადოების ერთს გლეხს კამბეჩი ჩაუგდია ლატარიაში (დახეთ, განათლებას სად მიულწეია!) ბევრ თავად-აზნაურსა და გლეხს მოუწერია ხელი და ბოლოს, როცა სია შესრულდა, გლეხს ლატარიის თამაშობის დღე დაუნიშნავს. ამ დროს ერთი იქაური მცხოვრები, „თავისუფალი დოქტორი,“ როგორც ეძახის კორრესპონდენტი, ჩუმად წავიდა თურმე ეკკლესიაში, დაუნთო წმ. ბიორგის ხატს წმინდა სანთელი და სთხოვა:

— თუ იმ კამბეჩს მე მომაგებინებ, სიტყვას გაძლევ, რომ შენ შემოგწირავ.

მართლაც, დაბრუნდა თუ არა იმ გლეხისას, სადაც ლატარიას თამაშობდნენ, ერთიც ვნახოთ, კამბეჩი იმ „დოქტორს“ ამოუვიდა!

ამან იმ წამსვე წაიყვანა კამბეჩი, დაბა ეკკლესიის გალავანში და ამნაირად თავის სიტყვა შეასრულა. საქმე ამით არ თავდება:

მეორე დღეს დოქტორი მიეიდა ეკკლესიაში და შემდეგის სიტყვებით მიმართა თავის მწყალობელ ხატს:

— წმ. ბიორგი, ექვსი საჟენი შეშა მაქვს მოსატანი, ეს შენი კამბეჩი მაკეთოვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორც მოვიტან, იმწამსვე კამბეჩს ისევ უკანვე მიგართმევ.

ნება მისცა წმ. ბიორგიმ, თუ არა—არ ვიცით, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ იმ კაცმა კამბეჩი წაიყვანა, შეშა მოატანინა და მერე ისევ ეკლესიას დაუბრუნა.

მესამე დღეს კიდევ მოვიდა წმ. ბიორგისთან, კიდევ ამნაირათვე სთხოვა კამბეჩი, სიმინდი მაქვს მოსატანიო, კიდევ წაიყვანა და დაუბრუნა. და ახლაც, როცა კი დასჭირდება, მივა ხოლმე, წაიყვანს, ისარგებლებს და მერე ისევ წმ. ბიორგის მიუყვანს....

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲓᲐᲛᲬᲔᲡᲔᲑᲔᲚᲘ

1-ᲚᲘ ᲒᲘᲚᲓᲘᲘᲡ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ

Ա. Მ. ᲐᲥᲘᲛᲝᲚᲝᲕᲘ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲙᲣᲙᲣᲯᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ,

ᲬᲐᲠᲛᲝᲚᲔᲑᲐ

1) ᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲡ ფულებს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, % ბანკის ბილეთებისა, აქციისა და თფილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთა;

2) ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ და ᲰᲧᲘᲓᲘᲡ % ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე თფილისის კომერციულ ბანკის აქციებსა და თფ. საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.,

3) ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ უფლებას, რწმუნებითი ქაღალდით, პენსიის მიღებისას, აგრეთვე ფოჩტის, არენდისკუპონების და სხვ. ფულებისას;

4) ᲐᲮᲣᲠᲓᲐᲕᲔᲑᲡ სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისას და სამზღვარ გარეთისას.

5) ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕᲔᲚᲐᲓ (სტრახში) იღებს ტირაჟის გაუქმებისაგან მოგებიან ბილეთებს ათ შაურად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა ამას გარდა ერთი ფოჩტის მარკა უნდა გამოგზავნონ;

6) ᲰᲧᲘᲓᲘᲡ მოგებიან შინაგან სესხის ბილეთებს, დრო-გამოშვებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუძლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შემოიტანოს ქანტორაში;

7) ᲰᲧᲘᲓᲘᲡ, მინდობილობით, დაგირავებულსა და ვადას გადასულ ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.

(10—6)

თფილისიდამ 80 ვერსზე ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲑᲔᲖᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ადრინდელი თ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ. მიწის სივრცე 9 ათას დესიატინამდინ იქნება და გასასყიდ მიწებში არის: ტყე, სათიბი, საბალახე და სახნავ-სათესი. ნაჭერ-ნაჭრად ისყიდება. ფასისა და პირობების შეტყობა „მარსელის“ სასტუმროში შეიძლება უფ. Ა. ნ. ᲑᲝᲜᲩᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

(3—2)

ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲛᲐ

„ᲐᲠᲐᲜᲙᲐ“

ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ Ზ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ Ე. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ უფ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ და თფილისის წიგნის მაღაზიებში. ᲤᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ: ᲖᲝᲠᲨᲘ—მღ. ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲗᲐᲜ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—სვ. ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲨᲘ—უ. ᲐᲜᲢ. ᲯᲐᲧᲔᲚᲗᲐᲜ, ᲤᲝᲗᲘᲡᲨᲘ—უ. ᲔᲚᲘᲡᲑᲐᲠ ᲑᲐᲑᲐᲚᲝᲕᲗᲐᲜ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲨᲘ—ᲘᲚᲘᲐ ᲖᲐᲠᲐᲤᲝᲕᲗᲐᲜ.

(5—2)

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲙᲣᲓᲠᲘ (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲖᲔᲓᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ᲙᲐᲜᲡ ᲔᲙᲕᲠᲔᲑᲐ და არა სჩანს.

Ш. Ф а и — г а м о м г о н и

—

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲠᲑᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ; ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲚᲙᲔᲑᲔᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲘ, ᲔᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲞᲝᲛᲐᲓᲐᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ.

9, Rue de la Paix, Paris

156—66

ᲐᲚ. ᲑᲔᲡ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲝᲠ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ნება-დართვით ჩემი ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი შეკსცვალე ᲝᲠ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲗᲕᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ, რომელშიაც პირველი და მეორე კლასის სწავლის კურსი იმ პროგრამმისა იქნება, რა პროგრამმისაც გიმნაზიის მოსამზადებელი და პირველი კლასების სწავლის კურსია.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ ყმაწვილის შემოყვანა ამ სასწავლებელში, შეუძლიან მოიქცეს ჩემთან აგვისტოს 15 დმ დაწყებული ვიდრე სექტემბრის 15-მდის. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება სასწავლებელში.

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

1) სასწავლებლის შაგირდები განიყოფებიან ორ ნაწილად: ა) ᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲐᲓ, ე. ი. რომელნიც თავიანთ ბინაზე დგანან და სასწავლებელში კი მოდიან მხოლოდ სწავლისათვის და ბ) ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲐᲓ, ე. ი. რომელნიც სასწავლებელთან მყოფ პანსიონში ჰსცხოვრობენ. პირველი განყოფილების შეგირდს, ე. ი. მხოლოდ შკოლაში მოსიარულეს თვითეულს შემოაქვს წელიწადში ორმოცი (40) მან., ხოლო მეორე განყოფილებისა ანუ პანსიონერს—ორას ორმოც-და-ათი (250) მანეთი.

2) ᲐᲠᲗᲘ ნახევარი ხვედრი ფულისა უეჭველათ უნდა იქნეს შემოტანილი ყმაწვილის შემოყვანისათანავე-სეკტემბერში და მეორე ნახევარ-15 იანვრამდის.—შემოტანილი ფულის მაგივრ მარტო შკოლაში მოსიარულე ყმაწვილებს ექნებათ სწავლა და პანსიონერებს—სწავლა, ბინა, სასმელ-საჭმელი, დაბანა, დარეცხა და ექიმი; ხოლო დანარჩენზე უნდა იზრუნონ მშობლებმა.

3) თუ დადებულს ვადაზე ფული შემოტანილი არ იქმნა, მაშინ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ მცხოვრები ყმაწვილი პირ-და-პირ გაეგზავნება მშობელს და სოფელი, ანუ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გარეშე მცხოვრები კი ჩაჰბარდება იმ პირს, რომელსაც მშობელი, ყმაწვილის შემოყვანის დროს, თავდებათ წარმოადგენს, რომ თუ კი მან (მშობელმა) ფული დროზე არ შემოიტანა, მაშინ ეს თავდები ვალდებული იქნეს, შკოლის მზრუნველისაგან პირველისავე ცნობის შემდეგ—ერთი კვირის განმავალობაში, ყმაწვილი წაიყვანოს და ჩააბაროს მშობელს.

4) თუ მარტო შკოლაში მოსიარულე ყმაწვილმა არ წარმოადგინა დროზედ ფული, მაშინ მას დაუყონებლივ აღეკრძალება სასწავლებელში სიარული და სწავლა.

5) ზემოთ აღნიშნული ფული გადაიხდების მხოლოდ სამასწავლებლო წლისათვის, რომელიც ჩვეულებრივ წელიწადზე ნაკლებია. ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲘ რომ ავათ გახდეს, ან სხვა მიზეზით, რომელიც სასწავლებლის მზრუნველზე დამოკიდებული არ იქნება, ვერ იარს სასწავლებელში, ამისათვის ფული არ გამოირიცხება. ᲐᲠᲪ მაშინ გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილმა დაიგვიანოს და დროზე არ გამოცხადდეს სასწავლებელში.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: სასწავლებელი იმყოფება ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, რიონის მარჯვენა მხარეზე, მღვდლის ს. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ სახლში.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲑᲔᲡ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ (5—4)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4 აპრილის სახსოვრად)

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ და ᲚᲘᲡᲘᲪᲘᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ და ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის, ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲔᲕᲘ—თვალის ექიმი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფ., ᲫᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ შინაგან ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ და ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფობისათვის და ᲛᲘᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ—ხირურგიულისთვის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ და ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ—შინაგანი ავათმყოფი. ᲫᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ—ყურისა და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲔᲕᲘ—თვალის ავათმყოფობისა.

ᲠᲙ. ᲒᲖᲐ.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲚᲐᲛ.		II Კ.		III Კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ	9	36	4	54				
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ	—	—	—	—	-	68	-	38
ᲖᲝᲠᲘ	12	21	8	41	2	40	1	23
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ	2	—	11	10	3	92	2	18
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	—	—			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ	—	—			5	81	3	23
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	8	23			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ	—	—			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ	11	44			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ	8	40						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	—	—			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ	—	—			2	6	1	14
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	11	51			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ	—	—			3	98	2	21
ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲘ	—	—	ᲚᲐᲛᲔ		5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ	5	41	1	6	5	84	3	24
ᲖᲝᲠᲘ	7	23	3	6	7	36	4	9
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ	—	—			9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ ᲛᲘᲓᲘᲡ:

ᲝᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ—ᲨᲐᲑᲐᲗᲡ დილის 8 საათ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ—კვირაობით, დილას.

ბ) ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ᲝᲠᲨᲐᲑ. ნასად. 3 საათ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ—ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, შუადღეზე

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
ᲡᲐᲮᲣᲛᲐᲛᲓᲘ.	4	„	3	„	1	„
ᲛᲔᲠᲩᲰᲐᲛᲓᲘ.	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝᲒ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ სიტყვა თფილისიდამ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲤᲝᲗᲡ . .	1	—
ᲖᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, სიღნახს		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲝᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲞᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ოთხშ., ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲡ — პარასკ. და ორშაბ. ᲑᲐᲥᲩᲡ — ორშ. სამშაბ. და შაბ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) Ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ორშ. და პარასკ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ—ოთხშაბ.

გ) Ზ ო რ ი დ ა მ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) ᲤᲝ ᲗᲘ ᲓᲐᲛ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲖᲐᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ და სამზღვარ გარეთ:		ᲙᲐ�პ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .		8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲠ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 29 სექტ.		
ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ $3^1/_2$ ᲰᲔᲜᲡᲘ.	—	84
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ $331^1/_2$ სანტიმი.	—	89
ᲔᲡᲙᲣᲜᲢᲘ (სარგებლისფასი)	5	-
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	97	40
მოგებიანი (პირველისესხი)	182	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	177	50
ᲖᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
თფილ. საᲐᲖ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	—	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ($5^1/_2$)	85	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	88	25
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	165	—
ᲤᲝᲗᲘ-თფილ.რკინ. გზის	—	—
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ	515	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	202	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ.	724	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	241	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	269	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲠ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 5 ᲝᲥᲢᲝᲛ.		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ფთ.	1	—
ᲭᲔᲠᲘ ფუთი. . . .	—	65
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ფუთი .	5	20
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფუთი. .	5	60
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ფთ.	8	—
ᲛᲐᲢᲚᲣᲚᲘ თუᲨᲣᲠᲘ ფთ .	6	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ფთ. .	4	60
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲮᲣᲑᲣᲠᲘ გრ.	2	60
ᲥᲝᲩᲘ, ფუთი. . .	4	—
ᲭᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ფუთი.	5	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ფ.	10	30
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ლიტ.	—	45
—ᲪᲮᲘᲠᲘᲡᲐ, ლიტრა. .	—	50
Ს�პᲘᲠᲢᲘ, ვედრო. . .	6	20
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ფუთი .	6	25
—ᲤᲣᲮᲕᲜᲘᲚᲘ ფუთი . .	5	90
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ფუთი .	18	—
ᲮᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ფთ.	6	20
ᲝᲥᲠᲝ $^1/_2$ იმპერიალი. .	6	40

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октября 1876 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.